

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წინამოსამზადებელი ეტაპის
მნიშვნელობა.

საქართველოში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის
გზები

ნატო დავითაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო დავითაშვილი

22 ივნისი, 2018 წელი

აბსტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის ერთ-ერთი უმსხვილესი მექანიზმი მუდმივად ექცევა ფართო საზოგადოების ყურადღების ქვეშ. ამ პროცესში სახელმწიფოს სახსრების ხარჯვის მასშტაბი არის მიზეზი იმისა, რომ დღესდღეობით სახელმწიფო შესყიდვები ქვეყანაში მოქმედი საჯარო უწყებების ცალკეულ საქმიანობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე და ფართოდ ხელმისაწვდომი სისტემით ხორციელდება. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ფარავს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის თითქმის ყველა ეტაპს.

საყოველთაოდ ხელმისაწვდომი არ არის შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპი, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ის ფაზა, როდესაც ყველაზე მეტად არის შესაძლებელი პრობლემების გამოვლენა და შეცდომის დაშვება, შეცდომის, რომელიც საბოლოო ჯამში აისახება მთლიანად შესყიდვის ხარისხზე.

სწორედ მოსამზადებელ ეტაპზე წყდება ის, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს და დაიგეგმოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები, როგორი უნდა იყოს მონეტარული თუ დროითი პრიორიტეტები, როგორი საშუალებით უნდა განხორციელდეს შესყიდვა, როგორი უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები, რათა ის ზუსტად შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას, როგორ უნდა განისაზღვროს შესყიდვის ღირებულება და ა.შ.

ზემოთ განხილული პროცესის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემები უკავშირდება ერთი მხრივ შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე ხარვეზებს, ისეთებს, როგორიცაა ორგანიზაციის არასტაბილურობა, პრიორიტეტების ხშირი ცვლა, არასათანადო სერიოზული დამოკიდებულება საკითხთა მიმართ,

ინფორმაციის ნაკლებობა და არაკვალიფიციურობა, ხოლო მეორე მხრივ ეს არის საჯარო და ბიზნეს სექტორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზები და პრობლემები, მათ შორის უმთავრესია საჯარო სექტორის მიმართ უნდობლობის, ორმხრივ ურთიერთობებში მონაწილეობის ნაკლები მოტივაციის და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, მოსალოდნელი სარგებლის შესახებ ნაკლები ინფორმირების პრობლემა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ახდენს გავლენას სახელმწიფო შესყიდვების წარმატებაზე და იმ შემთხვევაში თუ, ერთის მხრივ საჯარო სექტორის წარმომადგენელ შემსყიდველს ორგანიზაციებს ექნებათ სათანადოდ გააზრებული თუ რა მნიშვნელობის შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპი, თუ ისინი შეინარჩუნებენ სტაბილურ გარემოს და მიჰყვებიან თავის სამოქმედო გეგმებს და სტრატეგიებს, უზრუნველყოფენ კვალიფიციური კადრების დასაქმებას და მეორე მხრივ კომპეტენტური სახელმწიფო უწყებები შეიმუშავენ ბიზნეს სექტორისათვის ისეთ რეგულაციებს, რომელიც ერთის მხრივ ბიუროკრატიულ ბარიერებს შეამსუბუქებს, ხოლო მეორე მხრივ იქნება სარგებლიანი პროცესში მონაწილე მხარეებისათვის რაც გაზრდის მათ ჩართულობას საჯარო რესურსების ხარჯვის პროცესში, ჩვენ შევძლებთ, რომ მივიღოთ, სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვის საჯარო და სანდო პროცედურა, ჯანსაღი კონკურენციის, არადისკრიმინაციული და თანასწორი მიდგომის პირობებში.

Abstract

Public procurement, as one of the largest mechanisms of spending the state budget, is constantly under scrutiny by the general public. Due to the large scale of spending the state funds, state procurement is carried out through one of the most transparent and widely available systems of public agencies operating in the country. Unified electronic system of state procurement incorporates almost all stages of state procurement procedure.

The preparatory phase of procurement is not publicly available. Though, it is the phase of state procurement when it is most likely to reveal problems and make mistakes, the error that will ultimately be reflected entirely on the purchasing quality.

Preparatory phase is used to allocate resources from the state budget, set monetary or temporary priorities, define the means of procurement and to specify the technical specifications of procurement object that should be in line with the needs of a procuring entity, as well as to define the prices and value of procurement etc.

The problems detected in the abovementioned process, are related to: on the one hand, the activities of the procuring that make the organization vulnerable, such as the instability of the organization, the frequent change of priorities, lack of genuine approach towards the issues, lack of information and lack of qualification. on the other hand, it relates to existing gaps in communication between the public and the business sectors the most important – mistrust to public sector, unwillingness to form bilateral relations, and the problem of less awareness of the expected benefits.

The above listed factors influence the success of state procurement process. If, on the one hand, the public sector procurers are well aware of the importance of the preparatory stage of state procurement, maintain a stable environment and implement their action plans and

strategies, they ensure the employment of qualified staff, on the other hand, if other competent state agencies develop business regulations that will minimize bureaucratic barriers and will be beneficial for the participating parties to increase their involvement in the process of spending public resources, we will be able to establish public and reliable procedure of the rational allocation of the state budget with healthy competition, non-discrimination and impartial approach.